დანართი№2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტი“ (ქ.ოზურგეთი)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები თავმჯდომარე: თაბუკა ციმინტია წევრი: ნინო ბოკუჩავა

(თბილისი, 2022)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ კოლეჯი ჰორიზონტი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: ა(ა)იპ

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

[redacted] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთომი მოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 29.12.2021 N1433997 *(ცვლილება ბრძანებაში 1440086, 30.12.21, 97112 01.02.2022)* ბრძანებით შექმნილ ექსპერტთა ჯგუფმა მიმდინარე წლის 11 იანვარს განახორციელა ვიზიტი ქ. ოზურგეთში ა(ა)იპ კოლეჯ "ჰორიზონტში" (შემდგომში კოლეჯი) „ვიზაჟის მომსახურების" საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შემოწმების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა დღის განრიგი, რომელიც გადაეგზავნა კოლეჯს და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი (იხ. დანართი1).

ექსპერტები გაესაუბრნენ კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ერთად განიხილეს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. გაესაუბრნენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვიზაჟის მომსახურების" მოდულების განმახორციელებელ პირებს, პროგრამის ხელმძღვანელს და შეამოწმეს მათი პირადი საქმეები. გაესაუბრნენ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს და განიხილეს პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან და განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები. ექსპერტების მიერ შემოწმდა კოლეჯის მატერიალური ბაზა, საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსი, ბიბლიოთეკაში არსებული პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი წიგნადი/ელექტრონული ფონდი, შემოწმდა გაცნობითი

პრაქტიკის მოდულის ფარგლებში ობიექტებთან დადებული მემორანდუმი/ხელშეკრულება და განხორციელდა ვიზიტი.

ვიზიტის დასასრულს ექსპერტების მიერ მოხდა მიგნებების გაცნობა კოლეჯის წარმომადგენლებისთვის.

ექსპერტთა შეფასებით ვიზიტი განხორციელდა კონსტრუქციულ გარემოში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

VII. რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაცი(ებ)ი :

2.4.2-2 რეკომენდირებულია დაწესებულებამ მარეგულირებელ წესში განსაზღვროს ვერიფიკაციის პერიოდულობა (რამდენ ხანში ერთხელ უნდა ჩატარდეს).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ვიზაჟის მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში / Basic Vocational Qualification in Hair and Beauty Services
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1012
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება 2021 წლის 6 დეკემბერი N 04-201
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი(ადგილები)	ქ.ოზურგეთი,რუსთაველის N 8
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	მოდულური - 15 პროფესიული სტუდენტი, ქ.ოზურგეთი რუსთაველის N 8
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობისშემთხვევაში).	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	54
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	69

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☑	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული	სრული	მეტწილი	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული	სრული	მეტწილი	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და განვითარება	სრული	მეტწილი	მეტწილი	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი	მეტწილი	ნაწილობრივი	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამი სდაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლი სშედეგების მიღწევას;

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამის „ვიზაჟის მომსახურების“ პროგრამის (შემდგომში პროგრამა) დამატებასთან დაკავშირებით ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით - „მიზანშეწონილობის დასაბუთება საგანმანათლებლო პროგრამისათვის - „ვიზაჟის მომსახურება“ და ასევე კოლეჯის ადმინისტრაციასთან განხორციელებული გასაუბრების შედეგებით დგინდება, რომ ისინი დაეყრდნენ კოლეჯის მიერ ჩატარებულ კვლევას. აღნიშნული კვლევა ეფუძნება რაოდენობრივი მონაცემების ანალიზს და აგრეთვე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 იანვრის დადგენილებით სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების 2021 წლის სახელმწიფო პროგრამას, სადაც გურიის მუნიციპალიტეტში მოთხოვნად პროფესიებში პერსონალურ მომსახურებებში (კლასიფიკატორი 101) „ვიზაჟის მომსახურების“ სპეციალისტების მზარდი მოთხოვნაა შრომის ბაზარზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით წარმოდგენილი პროგრამა შემუშავებულია ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტის“ „სასწავლო პროცესის და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის“ და დირექტორის 2021 წლის 9 ივნისის N04-89 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების განვითარებისა და გაუქმების წესის“ საფუძველზე, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ კოლეჯის გადაწყვეტილება შეესაბამება კოლეჯის მისიას და ეფუძნება სტრატეგიული განვითარების გეგმას, რომლის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამების დამატება, რაც ასახულია ასევე 2022 წლის სამოქმედო გეგმაში “ვიზაჟის მომსახურების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატება. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების ერთ-ერთ არგუმენტად კოლეჯის წარმომადგენლები ასახელებენ დამსაქმებელთა მზარდ მოთხოვნას „ვიზაჟის მომსახურების“ სპეციალისტების საჭიროებებზე და მათ სურვილზე ვაკანსიების არსებობის შემთხვევაში მიმართონ კოლეჯს.

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

ექსპერტთა შეფასებით პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შესაბამისობაშია ჩარჩო-დოკუმენტთან “ვიზაჟის მომსახურება“, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - საბაზო განათლება, შესაბამისად განსაზღვრულია პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესით“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტის“ დირექტორის 2021 წლის 6 დეკემბრის N04-202 ბრძანებით. წესი ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

ექსპერტებმა შეისწავლეს კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია (დამტკიცებულია ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტის“ დირექტორის 2018 წლის 17 აგვისტო N32/დ ბრძანებით). მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი, რომლის თანახმად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკა და დაწესებულების რესურსები. კვოტის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულია პროგრამისათვის გამოყოფილი სასწავლო გარემოს ოდენობა. სულ პროგრამისათვის გამოყოფილია 5(ხუთი) ოთახი. (2A, B, 2C). თითოეული გარემოს ფართი და მატერიალური რესურსი გათვლილილია 15 პროფესიულ სტუდენტზე. კვოტის განსაზღვრის დროს გათვალისწინებელია, რომ საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება მუშაობს ორ ცვლაში და შეჭრილი გრაფიკითაც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა , 15 ერთ მიღებაზე განსაზღვრულია შესაბამისიმი მეთოდოლოგიის მიხედვით.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტების მიერ გადამოწმდა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსი, რომლითაც სრულად მიიღწევა მოდულების ყველა სწავლის შედეგი.

პროგრამით გათვალისწინებული რეკომენდებული მატერიალური რესურსის ჩამონათვალის მიხედვით ექსპერტებმა მოახდინეს დათვალიერება, ასევე მოითხოვეს ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რაც წარმოდგენილ იქნა კოლეჯის მხრიდან.

ექსპერტთა შეფასებით პროგრამით გათვალისწინებული რესურსები (მათ შორის, საგანმანათლებლო რესურსები) სრულად უზრუნველყოფენ პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას და დარგობრივი კომპეტენციების ადეკვატურია.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

ექსპერტთა შეფასებით პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტის“ დირექტორის 2021 წლის 6 დეკემბრის N04-201 ბრძანებით, რაც განსაზღვრულია ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტის“ „სასწავლო პროცესის და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესით“ ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ექსპერტთა შეფასებით პროგრამის დასახელება „ვიზაჟის მომსახურება“ ასრულებს პროგრამის იდენტიფიკატორის ფუნქციას, სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ექსპერტთა შეფასებით პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. შემუშავების საფუძველია ჩარჩო დოკუმენტი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი ვიზაჟის მომსახურება/ Services 10119-პ. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა (54 კრედიტი ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის, 69 კრედიტი არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის), პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, კოლეჯის მიერ წარმოგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ, მოდულები და სასწავლო გეგმა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები:

- დირექტორის ბრძანებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ;
- კოლეჯის „სასწავლო პროცესის და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესით“ ;
- გასაუბრების შედეგებით დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ვებგვერდით- კოლეჯი "ჰორიზონტი" - სიახლეები (horizonti.ge)
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვიზაჟის მომსახურება“;
- კოლეჯის მიერ შემუშავებული 2019-2025 სტრატეგიული განვითარების გეგმით
- პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსი, ფაქტობრივი გარემოება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

სულ პროგრამისათვის გამოყოფილია 5(ხუთი) ოთახი. (2A, B, 2C). თითოეული გარემოს ფართი და მატერიალური რესურსი გათვლილილია 15 პროფესიულ სტუდენტზე. კვოტის განსაზღვრის დროს გათვალისწინებელია, რომ საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება მუშაობს ორ ცვლაში და შეჭრილი გრაფიკითაც.

აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულება სამ სილამაზის სალონთან; პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა შეადგენს 15-ს. თითოეულ მიღებაზე; ჯგუფები დაკომპლექტდება მინიმუმ 5-პროფესიული სტუდენტით. შესაბამისად, ხელშეკრულებით პროგრამის მდგრადობა უზრუნველყოფილია. ხელშეკრულებას დანართის სახით ახლავს იმ აღჭურვილობის ჩამონათვალი, რომელთაც პროფესიული სტუდენტები გამოიყენებენ პრაქტიკის ობიექტზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯის მფლობელობაში არსებული თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო მატერიალური რესურსით, ასევე პრაქტიკის ობიექტის მატერიალური რესურსით სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას; სასწავლო საქმიანობის სრულყოფილად წარმართვისათვის

დარგის მასწავლებელთა რაოდენობა შეადგენს 2-ს. პროფესიულ მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის, პროგრამის სასწავლო გეგმისა და პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების (ხელშეკრულებაში მოცემულია ჩანაწერი, საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის თაობაზე) შინაარსის მიხედვით, მასწავლებელთა დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას და ითვალისწინებს საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებს.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

პროფესიული პედაგოგის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია, განსაზღვრული თანამშრომლების, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობების დამტკიცებულ დოკუმენტში;

პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები, რომელთა საფუძველზეც, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგები მიღწევის შესაძლებლობას. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება კოლეჯის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ვიზიტის პერიოდში განხორციელდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუ. გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებლებს ხშირად უტარდებათ სხვადასხვა ტიპის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები თუ ტრენინგები როგორც დარგობრივ კომპეტენციაში, ასევე, სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტაციის ანალიზით და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივიკომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო გამოცდილება სრულ შესაბამისობაშია;
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი დანიშნულია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით. პირად საქმეში დევს მისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და შესაბამისობაშია კოლეჯის მიერ დაწესებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. შესაბამისად, მას აქვს შესაძლებლობა, სრულფასოვნად უხელმღვანელოს პროგრამის განხორციელების პროცესს.
ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და მუშაობს პროგრამის განვითარების მიმართულებით.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში და დისკებზე;დაწესებულებას ელექტრონული პროგრამის სახით შემუშავებული აქვს საბიბლიოთეკო კატალოგი. ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის. კვალიფიციური ბიბლიოთეკარი ახორციელებს საბიბლიოთეკო ფონდის მოხმარების აღრიცხვას, ივსება მკითხველის ბარათები, რითაც დასტურდება სასწავლო პროცესში საგანმანათლებლო რესურსის გამოყენების ფაქტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

ექსპერტებმა კოლეჯის დირექტორთან, ხარისხის მართვის სპეციალისტთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დაადგინეს,რომ საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი გამოთქვამს მზადყოფნას უზრუნველყოს სსსმ პირები სრული საგანმანათლებლო რესურსით, მოახდინოს მოდულების მოდიფიცირება და ადაპტირება მათი საჭიროების გათვალისწინებით, რომელიც ასახულია სასწავლო პროცესის და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელ წესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ექსპერტებმა შეაფასეს პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. დოკუმენტით ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამისთვის რენტაბელობის ზღვარს შეადგენს მინიმუმ 5 პროფესიული სტუდენტიდან მიღებული შემოსავალი. ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. შემოსავლების მთავარი წყარო ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსებაა, ხოლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯებს ძირითადად წარმოადგენს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება, მასალა და ნედლეული, ადმინისტრირების ხარჯი.

ექსპერტთა შეფასებით „ვიზაჟის მომსახურების“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება(მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამის „ვიზაჟის მომსახურება“ საგანმანათლებლო რესურსი;
- საგანმანათლებლო პროგრამის „ვიზაჟის მომსახურება“ ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- საგანმანათლებლო პროგრამის „ვიზაჟის მომსახურება“ განმახორციელებელთა პირადი საქმეები;
- საგანმანათლებლო პროგრამის „ვიზაჟის მომსახურება“ ბიუჯეტი;
- პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსი, კოლეჯის ფაქტობრივი მდგომარეობა;
- სასწავლო პროცესის მართვის წესი;
- საწარმოო პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებასთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი/შეთანხმება;
- კოლეჯის ხელმძღვანელ პირებთან და პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკის და სხვა.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს და კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული 2021 წლის 6 დეკემბრის N04-202 ბრძანებით ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტის“ სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზურნველყოფის მარეგულირებელ წესის საფუძველზე, რომლის მიზანია ხარისხის უზრუნველყოფის როგორც პროცესის დაგეგმვა დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგის და შეფასების მიზნით. ხარისხის შეფასების ციკლი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება, გადახედვა/გაუმჯობესება. ექსპერტთა შეფასებით პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ გამოცდილებას. დოკუმენტის გაცნობის და ხარისხის მენეჯერთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ხარისხის გაუმჯობესების მიზნით კოლეჯში მუშაობს შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, სადაც მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება კონკრეტული მიზნების მისაღწევი სტრატეგიული ქმედებები, რომლის შედეგებსაც დაწესებულება იყენებს მართვის პროცესების ხარისხის გასაუმჯობესებლად.
აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად დაწესებულებას შემუშავებული აქვს და კოლეჯის ვებგვერდზეა განთავსებული 2019-2025 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა. როგორც დოკუმენტიდან ჩანს, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში განხორციელების პროცესი ექვემდებარება რეგულარულ შემოწმებას და ანგარიშგებას, რომელიც ასევე გაწერილია დროში .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტრატეგიაში გათვალისწინებულია ადამიანური რესურსის, მატერიალური რესურსისა და ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები. დოკუმენტით განსაზღვრულია შეფასების ინდიკატორები და მონიტორინგის განხორციელების პერიოდულობა. ასევე, დაწესებულებაში შემუშავებულია კითხვარები: პერსონალის კითხვარი, პროფესიული სტუდენტის კითხვარი ფორმალურ გარემოში სწავლების შესაფასებლად/ პროფესიულ სტუდენტთა კითხვარი დისტანციური სწავლების შემთხვევაში, პროგრამის განმახორციელებელი პირის/პროფესიული განათლების მასწავლებლის კითვარი ფორმალურ გარემოში სწავლების შესაფასებლად/ პროგრამის განმახორციელებელი პირის/პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი დისტანციური სწავლების შემთხვევაში, პრაქტიკის ობიექტის/დამსაქმებლის კითხვარი. აღნიშნული ფორმები მტკიცდება დირექტორის მიერ. ხდება გამოკითხვის შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების გათვალისწინება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით „ვიზაჟის მომსახურება“ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან და საუკეთესო ადგილობრივი გამოცდილების გაზიარებას.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.
დაწესებულებაში ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ხდება პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგების გაანალიზება და შესაბამისად შედეგების გამოყენება ყველა პროცესის გასაუმჯობესებლად. ხარისხის მართვის მენეჯერის მოვალეობაა წარმატების თუ წარუმატებლობის გამომწვევი ფაქტორების იდენტიფიცირება, წარუმატებელი ფაქტორების გარდაქმნა გაუმჯობესების გეგმად და საჭიროების შემთხვევაში შემდეგი წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება.

დასტურდება(მტკიცებულება/ინდიკატორები)
:

- შეფასების სისტემის მექანიზმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- 2019-2025 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა
- კოლეჯის სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზურნველყოფის მარეგულირებელი წესით
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგებით;
- პროგრამის დამტკიცების ბრძანება

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის მიერ შემუშავებულია სასწავლო გეგმა. ექსპერტთა შეფასებით სასწავლო გეგმა წინაპირობებიანი მოდულის შემთხვევაში ითვალისწინებს დროის შუალედს განმეორებითი შეფასებისათვის, რაც ეთანხმება დადგენილ წესს და ასევე კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრულ რეგულაციას. ექსპერტთა შეფასებით სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას; მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია მოდულით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა.

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

კოლეჯში შექმნილია სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, რომლის ფარგლებშიც სასწავლო პროცესის მენეჯერი და დირექტორის მოადგილე სასწავლო მიმართულებით, კოორდინაციას უწევენ კოლეჯში სასწავლო პროცესს და პასუხისმგებელნი არიან სასწავლო პროცესის ეფექტიანად ორგანიზებასა და მართვაზე პროფესიული სტუდენტების საჭიროების გათვალისწინებით. მათი მოვალეობაა ხელი შეუწყონ პროფესიული განათლების მიღების მსურველთა პროფორიენტაციას, ორგანიზება და მონიტორინგი გაუწიონ პარტნიორ ორგანიზაციებში პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკას, სტუდენტებს მიაწოდონ ინფორმაცია სიახლეების და პოტენციური დასაქმების ადგილების შესახებ; ითანამშრომლონ პროგრამის ხელმძღვანელებთან პროგრამის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების მოგვარებასთან დაკავშირებით, ორგანიზება გაუწიონ სტუდენტთა გამოკითხვებს, განიხილონ მათი განცხადებები და პრეტენზიები; კონსულტირება გაუწიონ პროგრამის განმახორციელებელ პირს/პროფესიულ მასწავლებელს კალენდარულ გეგმასთან დაკავშირებით და სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყონ სასწავლო გეგმის მიხედვით ცხრილების შედგენა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის პრინციპები და წესები უზრუნველყოფენ სამართლიანი, კონკურენტული, პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნას.

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით პროგრამის განხორციელება იგეგმება მოდულებში მითითებული სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით. როგორც კოლეჯის ხელმძღვანელთან და ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრებით ირკვევა, ისინი პერმანენტულად უზრუნველყოფენ პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას.

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით „სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზურნველყოფის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია, სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად როგორც სსსმ და შშმ პირებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. დოკუმენტის თანახმად, კოლეჯში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ინიცირება ხდება მაშინ, როდესაც წამოიჭრება ამის საჭიროება. კოლეჯის დირექტორი ქმნის კომისიას, რომელსაც ამტკიცებს სამართლებრივი აქტით. კომისიის შემადგენლობაში აუცილებლად ჩართულია ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში მოიწვევს დაწესებულება.

ექსპერტთა შეფასებით, წარმოდგენილი მექანიზმების გათვალისწინებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას უზრუნველყოფილი იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, ასევე სტატუსშეჩერებული და მობილობით გადმოსული სტუდენტების არსებობის შემთხვევაშიც.

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანა განმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის მიერ გაფორმებულია ხელშეკრულება სილამაზის სალონში შპს „ლა ბელე ვია“-თან გაცნობითი პრაქტიკის მოდულისა და საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში. ხელშეკრულების მიზანია სილამაზის სალონმა უზურნველყოს სასწავლო ვიზიტით კოლეჯის „ვიზაჟის მომსახურების“ სპეციალობის სტუდენტთა მიღება და ამასთანავე საწარმოო პრაქტიკის გავლა ამავე სალონში, რაც დასტურდება ხელშეკრულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ექსპერტთა შეფასებით სასწავლო პროცესი განხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. ექსპერტთა შეფასებით C გარემოში მოთავსებულია ცეცხლმაქრი, გაკრულია ლაბორატორიაში მუშაობისა და უსაფრთხოების დაცვის წესები. დაწესებულების შენობა არის უსაფრთხო, კოლეჯ „ჰორიზონტის“ რეგულირების წესით განსაზღვრულია უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის თეორიული კომპონენტის სწავლებისთვის გამოიყენება დაწესებულების აუდიტორიები, პროგრამის განხორციელება არ საჭიროებს განსაკუთრებულ/სპეციფიკური უსაფრთხოების პირობების შექმნას/დაცვას.

დასტურდება(მტკიცებულება/ინდიკატორები):

საგანმანთლებლო პროგრამა „ვიზაჟის მომსახურება“

- კოლეჯის სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზურნველყოფის მარეგულირებელი წესი
- სასწავლო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები;
- გაცნობითი პრაქტიკის მოდულის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულება ;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამისმიზნებისთვისგამოყენებულიშეფასებისსისტემაარისვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

კოლეჯის მიერ შემუშავებულია და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა მექანიზმების მარეგულირებელი წესი. აღნიშნული წესი ფარავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების პროცესის/გამოცდის ჩატარება და შედეგების გაპროტესტება/აპელაცია; სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი; შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა; პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის წარმოება და შიდა მონიტორინგი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების პროცედურებთან დაკავშირებით, პროფესიული სტუდენტების სრულად ინფორმირების მიზნით, კოლეჯის ვებგვერდზე ატვირთულია პროფესიული სტუდენტის გზამკვლევი, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად დეტალურადაა აღწერილი შეფასების პროცედურა და მათ შორის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (მოდულურ/დუალური) პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასების თავისებურებები, რაც სრულ შესაბამისობაშია არსებულ მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს ამ სისტემის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობას და ობიექტურობას.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.
ექსპერტთა შეფასებით კოლეჯში საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად ხარისხის მართვის მენეჯრის მიერ ორგანიზდება ვერიფიკაცია რომელშიც, მასთან ერთად ჩართულია დარგის ვერიფიკატორი. კოლეჯის მიერ შექმნილი დოკუმენტით „შეფასების სისტემის ხარისხის შიდა უზრუნველყოფა ვერიფიკაცია“ განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედაგად შექმნილი მტკიცებულების, შეფასების სისტემის მიმართ ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად შეფასების ვერიფიკაციის პროცედურები: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალეობა, სამართლოანობა, ობიეტურობა,

2.4.2-2 რეკომენდირებულია დაწესებულებამ მარეგულირებელ წესში განსაზღვროს ვერიფიკაციის პერიოდულობა (რამდენ ხანში ერთხელ უნდა ჩატარდეს).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის მიერ შექმნილი დოკუმენტში „სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა მექანიზმების მარეგულირებელი წესი“ განსაზღვრულია სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი. წესის თანახმად, დაწესებულებაში შეფასების მტკიცებულებების (ტესტები, პროექტები, მასწავლებლის დაკვირვების ფორმები, ასევე ელექტრონული სახით წარმოდგენილი პროდუქტი, მატერიალური სახით წარმოდგენილი პროდუქტი და სხვ.) სათანადო აღრიცხვა ხორციელდება და ინახება საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან 3 წლის ვადით.

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისშედეგებიგამოყენებულიიქნებამათიშემდგომიგანვითარებისათვის.
ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის მიერ შექმნილ დოკუმენტში „სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა მექანიზმების მარეგულირებელი წესი“ გაწერილი შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგიით დაწესებულება განახორციელებს სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგს, ხოლო მიღებულ შედეგებს გამოიყენებს პროგრამების შემდგომი განვითარებისთვის, რადგან ვერიფიკაციის ბოლო ეტაპი მიზნად ისახავს შეფასების ხარისხის გაუმჯობესებას, ასევე ყველა ხარვეზის კვალიფიკაციის მომდევნო შეფასებისთვის გამოსწორებას, რომელიც შიდა შემმოწმებლის (ვერიფიკატორის) მიერ იქნება გამოვლენილი. სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ როგორ განავითაროს შედეგი და რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

დასტურდება(მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შეფასების სისტემის მექანიზმები;
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები;
- სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა მექანიზმების მარეგულირებელი წესი
- კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვითდაშემდეგდაასაბუთეთთქვენი შეფასება.

X. თანდართული დოკუმენტაცია გამოგზავნილია დასკვნის პროექტთან ერთად.

დანართი1. ვიზიტის დღის წესრიგი-1გვ.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	

08.02.2022

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: